ახალი გენერალი

„მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

31 იულისი - 12 აგვისტო 2015 წელი №14 №8096 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრილავენ, იბეჭდება რვიეთნის იცცოლრიალ, ხანრეს ენ ოხლის ყვითელ ჭრიდან, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფოლამბიელ მეცნიერნ ... გამოიწერეთ "ახალი გაზეთიადი" და გახლით ჩვენი მეითხველი

მიმდინარეობს სოფელ თელიანის მონაკვეთზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

გვ3.

ახალი ქართული ფილმების რეტროსპექტივა რეგიონებში

გვ2.

სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება

გვ3.

ქალაქის ძველ უბანში ახალი ღია საჭიდაო არენა მოეწყო

გვ3.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში

გვ2.

აწარმოე საქართველოში

გვ2.

ალექსანდრე ქესაურის ჰერსონალური გამოფენა

გვ5.

"მე ხალოც ოცლადეჭვი წლის ვარ"

გვ4.

ფეხბურთელ ოთარ ბურკაძეს 70 წელი

გვ4.

ბაკურიანელ ოთარ ვალიანი - ვანო გამცალეშვილი

გვ6.

ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით

გვ3.

ქართველები უცხოეთში

გვ7.

„ახალი გაზეთიადი„ ეძებს ბაინტერესო ბურთებს ჩვენიან ბაგზეთი ოფოტ-მეცნიერნიან შეხვედ-ნელადა. თხოვნით მივმართავთ თანხრესიონელებს - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეცნიერში! გამოგვიგ-ზავნეთ ბაინტერესო ლა ბახალიანო ფოტოები!

ევროპის ახალგაზრდული სპორტული თამაშები: ,,თბილისი — 2015,,

წლევანდელ ზაფხულში ამიერკავკასია ევროპის სპორტული ეპიცენტრია: სულ ახლახან აზერბაიჯანის დედაქალაქმა ბებერი კონტინენტის პირველ სპორტულ თამაშებს უმასპინძლა; ამჯერად კი საქართველოს დედაქალაქის ჯერია — თბილისში ევროპამ ახალგაზრდათა სპორტული დესპანები წარმოგზავნა, ოლიმპიზმის სულისკვეთებაში საქართველო გამოცდას აბარებს.

დიახ, ევროპამ თბილისი აირჩია. არადა, უკვე დიდი ხანია, ევროპა ჩვენი არჩევანია.

ამჯერად მასპინძლის როლს ვირგებთ და კიდევ ერთხელ უნდა დავუმტკიცოთ სამყაროს, რომ საქართველოში სწორედ დღეს სტუმარმასპინძლობის ადათური ურთიერთობანი არ გვეშლება.

სპორტი ხალხთა შორის მეგობრობისა და დაახლოების სავიზიტო ბარათია. ოდინდელ ჟეშმარიტებას, რასაც ოლიმპიზმის მიზნები ემსახურება, ყავლი არ გასვლია. ამიტომაც ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევარი სრულიად ევროპა ახალგაზრდული სპორტული დელეგაციებით სტუმრობს და პაექრობს, ჩაუქობს, მარჯობს და სწრაფობს თბილისის ახალსასპორტო არენებზე, დარბაზებში, აუზებში...

საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად იასპარეზა რობინზონ ბეგლარაშვილმა (55 კგ. წონით კატეგორიაში). დაწვრილებით გაზეთის მომდევნო ნომერში)

წარმატებებს ვუსურვებთ ქართველ სპორტსმენებს.

ახალი ქართული ფილმების რეტროსპექტივა რეგიონებში

23 ივლისს, კასპის კულტურის ცენტრში, პროექტის ფარგლებში "ახალი ქართული ფილმების რეტროსპექტივა რეგიონებში," მრავალი კინოფესტივალის პრიზიორის, რეჟისორ ნუცა ალექსი-მესხიშვილის ქართული ფილმის "კრედიტის ლიმიტის" ჩვენება გაიმართა.

ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ფილმის რეჟისორი სალომე/ნუცა ალექსი-მესხიშვილი, მთავარი როლის შემსრულებელი ნინო კასრაძე, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი, მისი მოადგილე გურამ მაჭარაშვილი.

მიხეილ გიორგაძე მიესალმა მაყურებელს და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კინოპროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივაა. მისი მიზანი მაყურებლის კინოთეატრებში დაბრუნება და ქართული ფილმების პოპულარიზაციაა, რომ ადამიანებმა ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად ნახონ ფილმები.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში



კასპის მუნიციპალიტეტის დღესის ადმინისტრაციულ ერთეულში, "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში წელს 4 პროექტი ხორციელდება, მათ შორის სამი სოფელ დღესში და ერთი სოფელ გრაკალში.

სოფელ გრაკალში შიდა სასოფლო გზის მოხრეშვის და სოფელ დღესში სასმელი წყლის რკინა-ბეტონის რეზერვუარის შეკეთება და სარტყელის მოწყობის სამუშაოები უკვე დასრულდა. ამჟამად ორი პროექტის - ე.წ. ლაბარების უბანში სარწყავი არხის რეაბილიტაცია - კიუვეტებით მოწყობა და შიდა საუბნო გზების მოხრეშვა - სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს შპს "კასპის საგზაო" ასრულებს და 4 პროექტის სამუშაოების განხორციელებაზე 58 519 ლარი დაიხარჯება.

მიმდინარე წელს, კასპის მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 1 045 693 ლარი.

აწარმოე საქართველოში

კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, "აწარმოე საქართველოში" - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა), მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები.

შეხვედრებს ატარებს გელა ნასყიდაშვილი - ბიზნესტრენინგის ცენტრის გორის ოფისის ხელმძღვანელი. შეხვედრები უკვე გაიმართა: კოდისწყაროს, სამთავისის, ქვემო ჭალის, ლამისყანის, ოკმის, მეტეხის, ახალქალაქის, ხოვლის, აღაიანის, ზემო ხანდაკის, დღესის, ქვემო გომის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

პირველ ეტაპზე გაიმართება ბიზნეს იდეების კონკურსი, რომელშიც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობა.

ერთ მეწარმე სუბიექტზე ფინანსური მხარდაჭერა მაქსიმუმ 5 000 ლარია, მეწარმეთა ჯგუფზე მაქსიმუმ 15 000 ლარი, ხოლო კერძო თანამონაწილეობა - მოთხოვნილი თანხის 20%-ია.

პროგრამა "აწარმოე საქართველოში" პირველი სახელმწიფო პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის /არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში მეწარმეობის განვითარებას.

ამავდროულად, პროგრამა ქვეყნის მასშტაბით სამეწარმეო კულტურის დანერგვას ემსახურება და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდისკენაა მიმართული.

"აწარმოე საქართველოში" პროგრამაში, ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეწვიონ ქალაქ გორში სამეფოს ქუჩა №27 და ქალაქ თბილისში სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პირველ სართულზე განთავსებულ სერვის ცენტრს.

მისამართი: დ. უზნაძის ქ. № 18.

ცხელი ხაზის ნომრები: 2 99 10 44/ 2 99 11 28.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გახდით ჩვენი მკითხველი!

სანიაღვრე არხების მოწყობა-
-რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება

სადგურ მეტეხის დასახლებაში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. გასულ წელს დასახლებაში სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ნაწილობრივ ჩატარდა. წელს კი დარჩენილ უბნებში დაწყებული სამუშაოები გრძელდება.

პროექტით გათვალისწინებულია თხრილის ფსკერის და არსებული მილების ამოღება და გასუფთავება, ცხაურის ბადით და არხის ბეტონით მოწყობა.

სამუშაოებს შპს "ბამა" ასრულებს, სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილია 13 715 ლარი. სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ხორციელდება.

მიმდინარე წელს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 1 045 693 ლარია გამოყოფილი.

ქალაქის ძველ უბანში ახალი ღია საჭიდაო არენა მოეწყო



ქალაქ კასპში, ახალ ღია საჭიდაო არენაზე მოეწყო ტერასა და სკამები, მსაჯების მაგიდა, გადაიხურა პროფენილით, ლითონის ნაწილები კი ანტიკოროზიული საღებავით შეიღება.

"აღნიშნული საჭიდაო არენა, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული მოჭიდავის გიორგი (გორკა) მერებაშვილის სახელობისაა, წლებია არსებობს, მაგრამ ის მოუწყობელი იყო. გადავწყვიტეთ საჭიდაო არენის კეთილმოწყობა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა მისი რეაბილიტაციისათვის. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ფუძე-"მ ჩაატარა სამუშაოები და მასზე 16 995 ლარი გაიხარჯა.

საჭიდაო არენაზე ყოველწლიურად გიორგი (გორკა) მერებაშვილის ხსოვნის ტურნირი ტარდება. წლევანდელი ტურნირი განახლებულ და მოწესრიგებულ საჭიდაო არენაზე გაიმართა "- აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

კასპის ახალგაზრდული საკრებულო
საქველმოქმედო აქცია

კასპის ახალგაზრდულმა საკრებულომ /თავმჯდომარე დალი მაზმიშვილი/ ამ დღეებში მორიგი საქველმოქმედო აქცია ჩაატარა, აქციის ფარგლებში საკრებულოს დეპუტატებმა შეაგროვეს მაკულატურა და აღებული თანხით შეიძინეს საკვები პროდუქტები, პირველადი მოხმარების საგნები და სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარნენ. ამჯერად კი, ახალგაზრდებმა კასპში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს /კაციაშვილებსა და ქოქაშვილებს / გაუწოდეს დახმარების ხელი.

— საქველმოქმედო აქცია არ იქნებოდა ორგანიზებული, უფრო ზუსტად ვერ მიაღწევდა სასურველ მიზანს, რომ არა ჩვენი მხარდამჭერების აქტიურობა, — აცხადებენ ახალგაზრდული საკრებულოს დეპუტატები, — მართლაც რომ დაფასების ღირსია კასპის პირველი და მესამე საჯარო სკოლების დირექტორების თამარ აბულაძის და მარინე ქონიაშვილის, აგრეთვე კასპელი მერაბ შალუტაშვილის უდიდესი თანადგომა, რომლითაც შევძელით სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება.

მიმდინარეობს სოფელ თელიანის მონაკვეთზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა სოფელ თელიანის გზის სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერა.

სოფელ თელიანის მონაკვეთზე სასირეთი - თელიანის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს სამშენებლო - სამონტაჟო საექსპლუატაციო საწარმო ჩელიაბინსკტრანსსიგნალის საქართველოს ფილიალი აწარმოებს. ამჟამად გზის საფუძვლის მოწყობის წინა სამუშაოები მიმდინარეობს. მოეწყობა გზის ქვედა და ზედა სამოსი, კივუეტები, ეზოებში შესასვლელი ლითონის მილები და დაიგება ორფენიანი ასფალტი. სამუშაოების ღირებულება 560 771 ლარია.

სოფელ თელიანის მისასვლელი და შიდა სასოფლო გზა წლებია მოუწესრიგებელია, რომელიც მოსახლეობას ნამდვილად აწუხებს. გზის სამუშაოები, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დეკემბერში დასრულდება და მოსახლეობა მოასფალტებული გზით ისარგებლებს - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.

გამოიწერეთ „ახალი გზა“

"რა, სად, როდის?" ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით

მიმდინარე წლის 20 ივლისს კასპის ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში "რა, სად, როდის?" რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ინტელექტუალები. სულ თამაშში მონაწილეობდა 8 გუნდი: "მია სან მია" კაპიტანი კოტე ხათაშვილი /, "იმედი" /კაპიტანი მანონი ირემაძე/, "სფინქსი" /კაპიტანი სერგი გაბარაშვილი/, "ციტადელი" /კაპიტანი ბექა ჯალაღანია/, "კლიო" /კაპიტანი გიორგი ხორბალაძე/, "ტიტანიკი" /კაპიტანი გიორგი ლალიაშვილი/, "ფენიქსი" / კაპიტანი ლომიაშვილი/, "პოტენციალი"/ კაპიტანი ხატია ბუთხუზი/.

როგორც თვითმხილველები ჰყვებიან ინტელექტუალური თამაში წარიმართა ძალიან საინტერესოდ და ხალისიანად, რაც მთავარია, ახალგაზრდულ ღონისძიებას ბევრი მაყურებელი ჰყავდა, მათ შორის უფროსი თაობის ადამიანები, თამაშის მონაწილე ახალგაზრდების მშობლები, მხარდასაჭერად მოსული თანატოლები...

ინტელექტუალური თამაშის წამყვანი, კასპის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე დალი მაზმიშვილი მონდომებით, მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ადევნებდა თვალს გუნდების გამოსვლებს, მათ პასუხებს. ხოლო დასმულ კითხვებს გულდასმით ამოწმებდნენ ახალგაზრდები ლალი ნაცვლიშვილი, გაგი ფეიქრიშვილი და თამარ რაზმაძე.

კასპელი ახალგაზრდების ინტელექტუალურ ასპარეზობას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლია ნიპარიშვილი, კასპის მესამე საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ქონიაშვილი, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ილია ბერიანიძე და მამუკა პაპაშვილი.

თამაშში მონაწილე რვა გუნდიდან საპრიზო ადგილებს დაეუფლნენ: "მია სან მია" /პირველი ადგილი/, "ტიტანიკი"/ მეორე ადგილი/, "კლიო" /მესამე ადგილი/, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით, სხვათა შორის პირველ ადგილზე გასულ გუნდს სიმბოლური საჩუქარიც გადასცეს. ახალგაზრდული საკრებულო მადლობას უხდის ინტელექტუალური თამაშის მხარდამჭერებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ღონისძიება ორგანიზებული და დასამახსოვრებელი ყოფილიყო.

"მე ახლაც ოცდაექვსი წლის ვარ"

სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის სულ რაღაც სამიოდე წელიც კი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება, მისი პროზა და პოეზია ერთბაშად აიტაცა გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართველმა მკითხველმა. მისი გახმაურებული მოთხრობები "შემოდგომა ბაბუა კოტესი", "სათაგური", "სიყვარული მარტის თვეში," "ნელი ტანგო", "თვირთვილა", "უსახელო უფლისციხელი", "სიკვდილი მთაში", რომლებმაც საქვეყნო აღიარება მოუტანეს მწერალს, მის სიცოცხლეშივე გამოიცა, ხოლო მოთხრობების კრებული "სალამურა", გარდაცვალების შემდეგ, 1961 წელს გამოიცა... ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტიც, რომ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ, რუსულ ენებზე. ქართველმა მკითხველმა, მაყურებელმა განსაკუთრებულად შეიყვარა გურამ რჩეულიშვილის სცენარების მიხედვით შექმნილი ფილმები "ალავერდობა" და "უსახელო უფლისციხელი".

— გურამ რჩეულიშვილის ხანმოკლე სიცოცხლე ზედმიწევნით ჰგავს მისივე მოთხრობების გმირების ცხოვრებას, — წერს ერთგან მისი სიყრმის მეგობარი, მწერალი ნუგზარ წერეთელი, — იგი თითქოს განგებ ეძებდა და ეჭიდებოდა განსაცდელს.

აკი შეეწირა კიდეც, სხვისი სიცოცხლის გადარჩენას, 1960 წლის 23 აგვისტოს, 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა გაგრაში, როდესაც

ზღვის ადიდებულ ტალღებს შეეჭიდა და სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა... გურამ რჩეულიშ-

ვილის მრავალფეროვან შემოქმედებას (მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, პიესები) განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მისი განუმეორებელი პროზა და პოეზია დღესაც გამორჩეულად იზიდავს თითქმის ყველა თაობის მკითხველს. აი, სწორედ ამ თემებზე ისაუბრეს ამ დღეებში კასპის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გამართულ ლიტერატურულ ღონისძიებაზე (სახელწოდებით "მე ახლაც ოცდაექვსი წლის ვარ"), სადაც საინტერესოდ ისაუბრეს ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა ნათია ჯანანაშვილმა, ლიანა მენაბდიშვილმა, ლია სოზიაშვილმა, ეკა კუსრაშვილმა, მაია აბუაშვილმა. ლიტერატურულ ღონისძიებაზე წაიკითხეს ნაწყვეტები მწერლის გამორჩეული ნაწარმოებებიდან, გაიხსენეს საინტერესო, დაუვიწყარი ისტორიები, თუ როგორ იქმნებოდა გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული ქმნილებები... დარბაზში იგრძნობოდა დადებითი, ემოციებით აღსავსე განწყობა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებსა და შეხვედრის ორგანიზატორებს.

ქალაქ კასპის ბიბლიოთეკა.

მესხისებური ფეხბურთიდან... მესისებურამდე!

პირველი ჩვენებურია — სისხლ-ხორცეულად ქართული ჯილაგისა, ჯიშისა, და გიჟურ ფეხბურთს თამაშობდა, ანუ — თვითონ უყვარდა ფეხბურთი სიგიჟემდე, რაღაცნაირად შინაგანი განსაკუთრებულობითა და კრძალვით, მხოლოდ გულიდან მომდინარე ლავისებური ცეცხლოვანებით. ამიტომაც იყო ფეხბურთის მეტრი, ვირტუოზი. აბა, რაღა გასაკვირია, მისებური თამაშით აღტაცებულიყო მაყურებელი ტელეეკრანთან თუ სტადიონზე და სიგიჟემდე ყვარებოდა "დინამოს" მეთერთმეტე ნომერი, ფანტების დიდოსტატი.

ქართველი მიხეილ მესხი (გადავითვალოთ ასო-ნიშნების რაოდენობა ამ სახელ-გვარში: ზუსტად 11-ია) იყო ლეგენდა, იყო მოვლენა, იყო მშვენება ქართული ფეხბურთისა... სამწუხაროდ — "იყო," მაგრამ ისევ გვახსოვს და გვიყვარს, ისევ ვაფანატებთ ჩვენებურ კაცზე — მესხზე! იგი დარჩა ლამაზ ზღაპრად, არაკად ("მიშა მესხი" — ერთხანს საქართველოში ამ სახელით არაყიც გამოუშვეს); იგი გადმოვიდა წინა საუკუნიდან და სამუდამოდ დაივანა ქართველ გულშემატკივართა მოგონებებსა და ხსოვნაში!

*** მეორე უცხოელია — ოკეანის გაღმა მხრიდან, არგენტინელი კოვბოებისა და მაჩოების შთამომავალი, გათანამედროვებული ტიპი — თინეიჯერი, ოღონდ, უკვე შეღვინებული უფრო აქეთურში, ანუ ევროპაში.

იგიც ფეხბურთის გიჟური ვარსკვლავია (№10), ევროპისა და მსოფლიოს სტადიონები თავისი ბუცების ფორმაციაზე რომ მოაქცია.

ლეონელ მესი (გადავითვალოთ ასო-ნიშნების რაოდენობა ამ სახელ-გვარში: ზუსტად 10-ია) დღევანდელი ფეხბურთის მესიაა! დიახ, მესია და მორჩა! ის მსოფლიოს მესია! ოღონდ, იქ, არგენტინაში, მისიანები ემდურიან და ამბობენ, რომ მესიანელები არ არიან და ლეონელზე არ აბოდებენ, პირიქით, ულტიმატუმს უყენებენ: — შენი ფეხბურთით ევროპას არგე და არა შენს არგენტინასო!

მეტიც, "კოპა — ამერიკა-2015"-ზე არგენტინის ნაკრების წარუმატებლობის შემდეგ (გუნდი ვერ გაჩემპიონდა) კაპიტან — მესის მოკვეთას მოითხოვენ (!).

ფეხბურთს უყვარს პარადოქსები!

მიხეილ მესხი არგენტინის დედაქალაქის "რივერ პლეიტზე" ერთხელ არის ნათამაშები — 1961 წლის 18 ნოემბერს.

ლეონელ მესი საქართველოს დედაქალაქში 2015 წლის 11 აგვისტოს ითამაშებს!

ამირან ტალახაძე.

წერილი ,,კეხურას,, მკითხველს

გასული წლიდან მოუოლეგუული სულ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნაკლექვეშა სასახლეებსა და ალპებში ,,დამალულ" საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დაქოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს რუბრიკაში "კეხურა".

ალექსანდრე ქესაურის პერსონალური გამოფენა მხატვრის თვალით დანახული სამყარო



ივლისის შუარიცხვებში გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა პროფესიონალი კასპელი მხატვრის ალექსანდრე ქესაურის პერსონალური გამოფენა. გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სამხატვრო გალერეა, საინფორმაციო მხარდამჭერი ენერგიულად, კვლავაც ნაყოფიერად აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას, მისთვის რასაკვირველია, ერთგვარი დაფასება, ხელოვანისადმი პატივისცემა გახლდათ მუზეუმში გახსნილი გამოფენა.

პროფესიონალი კასპელი მხატვარი ალექსანდრე ქესაური დაიბადა 1937 წლის 20 მაისს. კასპის მეორე საჯარო სკოლის 9 კლასის დამთავრების შემდეგ, 1957 წელს სწავლა დაიწყო ცხინვალის (იმჟამინდელი სტალინირის) სამხატვრო ტექნიკუმში. ტექნიკუმში სწავლის პერიოდში მსახურობდა ჯარში (მოსკოვის ოლქში), სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, ისევ სამხატვრო ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, რომელიც დაამთავრა /1963 წელს/ წითელ დიპლომზე.

სამხატვრო ტექნიკუმის დასრულების შემდეგ პედაგოგებისა და სპეციალისტების რჩევით ალექსანდრე ქესაურმა მისაღები გამოცდები ჩააბარა ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული მიზეზების გამო ვერ დაამთავრა. 1964 წელს დაბრუნდა კასპში, ერთხანს მუშაობდა მეორე საშუალო სკოლაში, შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ახლადგახსნილ კინომხატვრობის ფაკულტეტზე. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ქართულ კინოსტუდიაში და მონაწილეობდა საკმაოდ გახმაურებული ფილმების /"ზოია რუხაძე", "გასეირნება", "მომთვინიერებელი", "ციმბირელი პაპა"/ გადაღებებში.

კინოსტუდიიდან წამოსვლის შემდეგ მუშაობა დაიწყო კასპში, იმ ხანად /1975 წელს/ კასპში გახსნილ სამხატვრო სკოლის დირექტორად დაინიშნა და მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საქმის შესრულებას, ოდნავ მოგვიანებით კი წალკაში გაიხსნა ქართული სკოლა, სადაც სხვა მასწავლებლებთან ერთად მიიწვიეს ალექსანდრე ქესაურიც, რომელიც მეუღლესთან, მარია არტამონოვასთან ერთად წალკაში 17 წლის მანძილზე ასწავლიდა ხელოვნებას. აღსანიშნავია ალექსანდრე ქესაურის მეუღლის მარია არტამონოვას პედაგოგიური მოღვაწეობაც (მარია და ალექსანდრე თანაკლასელები არიან), იგი მეორე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის პირველი ოქროსმედალოსანია.

ასე რომ მხატვარი ალექსანდრე ქესაური მეუღლესთან ერთად მუშაკები, სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი კასპის სამუსიკო სკოლასთან არსებული ხატვის წრის /ხელმძღვანელი ნელი გოგოლაძე/ წევრები, ხელოვნების მოყვარულები... შეკრებილ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. გამოფენაზე წარმოდგენილ ნახატებთან დაკავშირებით ამომწურავად ისაუბრა მხატვარმა იორამ იმედაშვილმა. მისი თქმით, საერთოდ, ყველა ნახატმა, განსაკუთრებით ფერწერულმა ნამუშევარმა უნდა გახსნას თემატიკა: რა ხერხებსა და შესაძლებლობებს იყენებს მხატვარი, არის თუ არა მის ნამუშევრებში თანამედროვეობის ტენდენციები, ნახატები მიესადაგება თუ არა არსებულ ტრადიციებს. აი, ამ თვალსაზრისით მხატვარ ალექსანდრე ქესაურის ფერწერულ ტილოებში ნათლად იგრძნობა სრული ჰარმონია, მეტიც, მას აქვს ბევრი ნამუშევარი, რომელიც შექმნილია ტრადიციული ფორმით ანუ მიბაძვით, რომელსაც გააჩნია სწავლების მიზანი. ასეთებია მაგალითად, ცნობილი ჰოლანდიური ნატურმორტების ანალოგი, აგრეთვე პოლ სეზანის, ვან გოგის, ფიროსმანისა და დავით კაკაბაძის მიბაძვით შექმნილი ძალიან საინტერესო ტილოები, რომლებიც მეტყველებენ მხატვრის გემოვნებასა და განათლებულობაზე. საყურადღებო, ძალიან საინტერესოა აგრეთვე, მხატვრის მიერ აკადემიური წესით შესრულებული სურათები, ავტოპორტრეტი, მეუღლის პორტრეტი, გრაფიკული ჩანახატები, ყურადღებას იქცევს ესკიზები კინოფილმებისათვის. და მაინც, დამთვალიერებლის ყურადღების ცენტრში ექცევა მხატვრის ფერწერული ტილოები "შატილი," "სვანეთი" და "ქვათახევი," სხვათა შორის, ეს ნახატები შესრულებულია კასპური კოლორიტიდან გამომდინარე და ამითაც არის საინტერესო, გამორჩეული.

მუზეუმში გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე. სიტყვებით გამოვიდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლია ნიპარიშვილი,სამუსიკო სკოლასთან არსებული ხატვის წრის პედაგოგი ნელი გოგოლაძე, პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი. გამოფენა კიდევ დიდხანს გასტანს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

ცაქარითვილოს ფალავანი - -ვანო გამხიტაშვილი

მარადისობისა და უკვდავებისათვის მოკვდავთა მიწიერი ყოფა წამიერია. ამ ჭეშმარიტებას ადასტურებდა ქართლის ისტორიულ სოფელში, სამთავისში, 2013 წლის 13 ივლისს ფრიად წარმომადგენლობითი სტუმრობა, რაც განპირობებული იყო მარად 26 წლის ჭაბუკად დარჩენილი ვანო გამხიტაშვილის სახელის დაფასებით – სამთავისში სამარადჟამოდ დაბრუნდა მისი ძედშობილი შვილი, აწ ძეგლად გარდასახული, და იმავე დღეს გაიხსნა მისი სახელობითი საჭიდაო არენა... ასე იყო 2014 წლის ივლისში... ასე მოხდა 2015 წლის 13 ივლისსაც, როცა სამთავისში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში (საქართველოს 1994 წლის აბსოლუტურ ფალავანს ამ დღეს 42 წელი შეუსრულდებოდა).

სოფელ-ქვეყანა არსთა განმრიგეს ისე მოუწყვია, რომ ზოგჯერ დამბადი მიწა, ანუ ადგილის დედა, განადიდებს თავის წიაღიდან შობილს, და, ზოგჯერაც, თვით პიროვნება, ანუ დიდკაცი გაუგდებს სახელს დუნიაზე მშობლიურ კუთხეს. სწორედაც თანაფარდულია გეოგრაფიული არეალისა და კონკრეტული პიროვნების, ანუ სამთავისისა და ვანო გამხიტაშვილის, სახელების დაწყვილება: დიდებული წარსულის მქონე სოფელი საფიცარი ხატი იყო ვანოსათვის სიცოცხლეში და მანაც, ვითარცა სახელოვანმა შვილმა, პირადი წამიერი მიწიერობით კიდევ უფრო შორს გაიტანა წონა და ფასი სამთავისისა...

ვანო სიცოცხლესა და ცხოვრებას სწავლობდა იმ სკოლაში, რომლის ეზოში დგას აქაური თენგიზ უზნაძის ბიუსტი, იმ ვაჟკაცისა, 22 წლისა რომ დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის წლებში; მისი და მისი უკრაინელი თანამებრძოლი მეგობრის, კონსტანტინე ტერნოვოის ძმობის საოცარი თავგადასავალი ხომ სხვადასხვა ერის შვილთა ურთიერთობის დიდი გაკვეთილია თაობებისათვის...

განა ქართველი მოჭიდავის, ჩვენში მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ სამბისტად აღიარებული ვანო გამხიტაშვილისა და მისი დიდი სამეგობროს ერთ-ერთი წარმომადგენლის, რუსი სერგეი ლაპოვოკის, ადრინდელ-აწინდელი ფიცვერცხლნაჭამობა არ გახლავთ სიმბოლური გამოძახილი იმ დიადი მეგობრობისა, ხალხთა შორის რომ შობილა ქვეყანა-მამულის დაცვის სამსახურში, ანდა საჭიდაო არენებზე?!

(წერილის ფორმატიდან გამომდინარე) ძალზე მოკლედ წარმოვადგენთ ვანო გამხიტაშვილის ბიოგრაფიის შტრიხებსა და სასპორტო მიღწევათა ნუსხას:

– 11 წლის ასაკში გახდა კასპის რაიონის ჩემპიონი!

– 14 წლისამ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი!

– 15 წლისამ გაიმარჯვა საქართველოსგარე შეჯიბრებაში!

– 16 წლისა მსოფლიო პირველობაზე გაჩემპიონდა ამერიკაში (ჭაბუკ სამბისტთა შორის)!

– 19 წლის ასაკში საევროპო პირველობაზე გაიმარჯვა ახალგაზრდებში და შეიქმნა მსოფლიო თასის მფლობელი!

– 20 წლისამ საქართველოს ფალავნობის ფინალში გააღწია და ვიცეფალავნობით დაკმაყოფილდა!

– 21 წლისამ მეტი მიზანდასახულობით იჭიდავა ქართველ მოჭიდავეთათვის ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში და საწადელსაც მიაღწია: გახდა 1994 წლის საქართველოს აბსოლუტური ფალავნის ტიტულის მფლობელი!

ახლა, როცა 21 წლის წინათ თბილისის ცირკში ჩატარებული შეჯიბრება ვახსენეთ, უპრიანია ერთი დეტალის მოხმობა იმჟამინდელი საოქმო ჩანაწერებიდან: ვანო გამხიტაშვილმა ფალავნობა – 94-ის ნახევარფინალური შეხვედრა მოუგო მცხეთელ მეგობარს, არჩილ ჩოხელს... დღეს ბევრის მთქმელია 2013 წელს "ლოპოტის ხეობის ოპერაციაში" დაღუპული ვაჟკაცის სახელის გახსენება (წლევანდელ ზაფხულში სოფელ გალავანში გაიმართა ჩოხელის ხსოვნის ტურნირი და გაიხსნა მისი ვარსკვლავი)... ამიტომაა, რომ მათი ძეგლები ეკუთვნის არა მარტო კონკრეტულად ორ ვაჟკაცს, არამედ, ზოგადად, ყველა აწგარდაცვლილ სამბოელს, რომელთა სახელებს მშობელი ხალხის ხსოვნაში დავიწყება არ უწერია... ისევე, როგორც აღარც ვანო გამხიტაშვილისა და არჩილ ჩოხელის პერსონებია მარტოდენ ოჯახებისა და საგვარეულოთა საკუთრება, ისინი მთელ საქართველოს განეკუთვნებიან, სრულიად ქართველობას განასახიერებენ...

სამთავისი – 2015-ის ტურნირი საქართველოს ღია პირველობის ხასიათს ატარებდა და ჩატარდა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი) ეგიდით. მთავარ მსაჯად დანიშნული იყო ოლეგ იაძე, ხოლო მსაჯი-ინფორმატორის ამპლუაში გაისარჯა ოთარ ყურაშვილი, ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. შეჯიბრების დონე საკმაოდ წონადი იყო, რადგანაც ასპარეზობდა ბევრი ტიტულოვანი მოჭიდავე (მაგალითად, 90 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვება ირგუნა ქარელელმა პაატა ღვინიაშვილმა, საქართველოს 2013 წლის აბსოლუტურმა ფალავანმა), ისინი, ვინც უკვეა საქართველოს ჩემპიონი, ვინც სამბოსა და ძიუდოში იცავენ ნაკრებების ღირსებას, ვინც ტრადიციულად მეტოქეობენ საფინალო შეხვედრებში და ხან ერთი ჩემპიონობს, ხანაც – მეორე.

13 ივლისი ზაფხულისათვის შეუფერებლად გრილი დღე იყო, მაგრამ სამთავისში ნაღდი გულშემატკივარი მაინც შეიკრიბა შეჯიბრების საყურებლად, რაც თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. დამსწრეთა და სტუმართა შორის იყვნენ ვანო გამხიტაშვილის ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ქართული სპორტის მუშაკები და სპეციალისტები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

საანგარიშო ასპარეზობის ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობა და წარმომადგენლობა ასეთია:

60 კგ. წონითი კატეგორია: I ადგილი – რამაზ გუგულაშვილი (კასპი), II ადგილი – დავით გეჯაძე (კასპი), III ადგილი – იოსებ ცერცვაძე (ქარელი);

70 კგ.: I ადგილი – ზვიად ოდოშაშვილი (კასპი), II ადგილი – ვანო თორთლაძე (გორი), III ადგილი – გოჩა ვარძელაშვილი (ქარელი);

80 კგ.: I ადგილი – გიორგი პაპუნაშვილი (გორი), II ადგილი – ზვიად კაპანაძე (ქარელი), III ადგილი – ლევან ოქრუაშვილი (მცხეთა);

90 კგ.: I ადგილი – პაატა ღვინიაშვილი (ქარელი), II ადგილი – დავით ჭაბუკაშვილი (გორი), III ადგილი – ბექა მიქუტიშვილი (კასპი);

მძიმე წონა: I ადგილი – ბექა ბერძენიშვილი (კასპი), II ადგილი – ხვთისო მოსულიშვილი (სიღნაღი), III ადგილი – ლევან გელხაური (კასპი).

გამარჯვებულები და მეორე-მესამე ადგილებზე გასული მოჭიდავეები, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი ხარისხის მედლები და დიპლომები (მიიღებენ ფულად ჯილდოსაც), დაავჯილდოვეს საპატიო სტუმრებმა: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა; ევროპის სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ცნობილმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ; მსოფლიო ჩემპიონმა სამბოში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონმა იოსებ მაღალაშვილმა; ვანო გამხიტაშვილის დამ, ქალბატონმა ირმა გამხიტაშვილმა; ცნობილმა მოჭიდავემ ვალერი პარუნაშვილმა.

სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონმა სამბოში, ავთანდილ ცინცაძემ, ტურნირის დროს დააანონსა, რომ 2015 წლის 12-13 სექტემბერს ქ. თბილისში მოეწყობა ტურნირი ახალგაზრდებს შორის და ექნება შერჩევითი სტატუსი: შედეგებით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც ოქტომბერში იასპარეზებს ლატვიაში დაგეგმილ მსოფლიო პირველობაზე. გაისიდან კი გამხიტაშვილის სახელობის თბილისის ტურნირი საერთაშორისო მასშტაბისა გახდება.

... გავა ათწლეულები და აქ, სამთავისში, მარად კურთხეული იქნება მარჯვენა გალატოზ ილარიონ სამთავნელისა, თითქმის ათასი წლის წინ რომ აუგია დიდებული ტაძარი სამთავისისა (ანუ სამიდან უკეთესისა, თავისა). დიახ, 2030 წელს 10 საუკუნე სრულდება მისი აგებიდან... გავა ათწლეულები და სამთავისში ისევ იდგებიან ეს ტაძრები, ეს ბიუსტები... ისევ იქართველებენ სამთავნელთა შთამომავალნი – ახალი სამბოელნი, მოჭიდავენი, მზეჭაბუკნი და მუდამ იქნება აქაურ ახალუხალთა სწორება ვანო-ბიჭის, თენგო-ბიჭისა და მათნაირთა, მათდართა სახელებზე! დასტურ მარადისობის ჭაბუკთა საქმეებზე!

ამირან ტალახაძე.
(ავტორის ფოტოები).

,,ახალი განთიადი,, იძიებს ცალიერიდან ოთოდოებს ცვგვბეთი ოთოდ-მეტიანის შეცვალმნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლოდოვეთ თქვენი ყველა! გამოგვიგზავნეთ ცალიერიდან ლა ცახალიანი ოთოდოები!

ქართველები უცხოეთში

"ვიცი, როდესაც ცალკეულნი ყოფნიან ჯიშებს, ჩემი ცხემობლობს ლიტერატურა შორის ერს ცემიშვებს".

ისრაელი. "წითელი ზღვა". ვილატი. 35 გრადუსი სიცხე. აქ ისე იშვიათია ნალექი, რომ წვიმა ეგზოტიკად ითვლება. მთელი ზამთრის განმავლობაში შეიძლება სულ ერთხელ წამოწვიმოს და მაკა თავისი პატარა კამერით "აფიქსირებს" ვილატის წვიმას.

დღესდღეობით ის თელ-ავივში ცხოვრობს. მაკა ფაცურია მრავალმხრივი ნატურაა. ხატავს, წერს, იღებს ფოტოებს. მას ინტერნეტ-სივრცეში "შევხვდი".

"სექტემბრის ბოლოს ისრაელში ებრაული წელთაღრიცხვით 5772 წლის დადგომა ჩუმად აღინიშნა," – მომწერა მაკამ და ებრაული ახალი წელიც მომილოცა "ფეისბუქის" კედელზე.

"მშვიდობით ამერიკა" მისი ბოლო წიგნია, სადაც მოთხრობილი აქვს ის, რაც თავს გადახდა. რამდენიმე წლის წინ ამ წიგნის პრეზენტაცია ლიტერატურულ კაფე "პარნასში" გაიმართა. წიგნში ნამდვილი ამბავია აღწერილი. "ბევრი უცნაური რამ გადამხდა, წაიკითხე და მიხვდები". "პოეტური კატალოგი" ასე ჰქვია წიგნს, რომლის ავტორი მაკა ფაცურიაა. ის ახლახან ვაშინგტონში, ამერიკის ბიბლიოთეკაში დაიდო. ამ კრებულში შესულია ერთი ავტორის მიერ ცხრა ენაზე – ქართულად, ინგლისურად, გერმანულად, რუსულად, ფრანგულად, იაპონურად, იტალიურად, ივრითზე და ესპანურად დაწერილი ლექსები. კრებული შემოწმებულია სპეციალისტების მიერ, წიგნის გაფორმება, ნახატები ავტორს ეკუთვნის.

"თემატიკა? ერთმანეთშია არეული, სიყვარული, ფილოსოფია. რა ვიცი, როგორც ცხოვრებაშია არეული ყველაფერი, ასეა ამ წიგნშიც. ზოგჯერ ისიც არ ვიცი, რა ენაზე ვლაპარაკობ. გამოცემული მაქვს ლექსების სამი კრებული, თუმცა სასაცილოა ლექსების ან კრებულების რაოდენობაზე ლაპარაკი. "მშვიდობით ამერიკა", "ლექსები" და მესამე "პოეტური კატალოგი", რომელიც, ღმერთმა იცის, საიდან, ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში მოხვდა. იქ არცთუ დიდი ხნის წინ იოსიფ ბროდსკი მუშაობდა "პოეტის თანამდებობაზე". ეს შტატი სპეციალურად მისთვის დაუშვეს, როგორც გამონაკლისი".

მაკამ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტს რამდენიმე საავტორო გადაცემა ჰქონდა ტელევიზიის პირველ არხზე, გადაიღო დოკუმენტური ფილმი პაოლო იაშვილზე, ასევე, ,,კინოსტუდიის კასკადიორები'' (ანდრო ალექსიძე), ფილმი ოთარ რამიშვილზე; მოგვიანებით ამერიკაში გაემგზავრა, სადაც შექმნა დოკუმენტური ფილმი "ამერიკული ჩანახატები".

"ჩიკაგოში ცხოვრება სიზმარივით მახსოვს. შემდეგ პარიზი, გერმანია, ბოლოს ისრაელი. მიუხედავად იმისა, რომ კონფუციმ თქვა, შეიძლება სამყარო სახლიდან გაუსვლელად შეიცნოო, მე ამის მომხრე არ ვარ. მთელი ჩემი მოგზაურობაც ფილმივით მახსოვს".

სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობისას ცდილობს ფოტოობიექტივით დააფიქსიროს ის ემოცია და შთაბეჭდილება, რომელსაც განიცდის.

ინგლისურად წერას ჩიკაგოში იწყებს. მოგვიანებით გაიცნობს ამერიკელ ქალბატონს ლიგა სიგალს, რომელიც საკაბელო ტელევიზიაში მიიწვევს კორესპონდენტად. მაკა ინგლისურად ამზადებს რეპორტაჟებს, სიუჟეტებს. ყველაზე საინტერესო რეპორტაჟს "გრინ-მილის" ბარიდან აკეთებს. ეს ჩიკაგოს ცნობილი ბარია, სადაც სხვადასხვა შტატიდან ასევე ცნობილი პოეტები იყრიან თავს და მუსიკალური აკომპანიმენტის ქვეშ ლექსებს კითხულობენ (სწორედ ამ ბარში ატარებდა დროს ალ კაპონე). რეპორტაჟის გადაღების მერე მაკა რამდენიმე საკუთარ ლექსს ქართულად, შემდეგ ინგლისურად წაიკითხავს. პოეტები აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

"ყველა ენას რაღაც თავისი აქვს. ფრანგული ძალიან მიყვარს. დავდიოდი პედაგოგთან და ბოდლერის, ვერლენის ლექსებით ვსწავლობდი ენას. როცა ასეთი მეთოდით სწავლობ, თან პარალელურად ლექსებს წერ, შეუძლებელია მუზა არ მოგივიდეს და არ მოგინდეს ფრანგულად დაწერო. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ეს ჩემს პედაგოგს უკვირდა: ფაქტობრივად, ენა ისე არ იცი, რომ ლექსები წეროო. თუმცა მათი წაკითხვისას გრამატიკულ შეცდომებს ვერ პოულობდა. იაპონური ლექსები ტანკის სტილში მაქვს დაწერილი".

როცა არ "ეწერება", დახატავს, ან ფოტოს გადაიღებს, ან უბრალოდ ჩანაწერს აკეთებს: "ყველას თავისი მონა ლიზა უღიმის, ალბათ, და რაღაც გული რითმისაკენ აღარ მიმიწევს..."

ლექსები მისი ცხოვრების ნაწილია. წერს ყველგან, მნიშვნელობა არა აქვს სად იმყოფება – ქუჩაში, აეროპორტში, გზაში, თვითმფრინავში. ზოგჯერ იმასაც ფიქრობს, ეს რამ დამაწერინაო.

"ცხოვრება თუ გავიდა,
ვერ დაიწყებ თავიდან...
საუკუნეთ მიჯნაზე
დარჩა ყავა ფინჯანზე."

"ლექსებს არასოდეს ვამუშავებ, რაც იბადება, ის რჩება. ბავშვი რომ ჩნდება, თვალი რომ არ მოგეწონოს, ან ცხვირი, ხომ არ დაუწყებ გადაკეთებას. იგივეა ჩემთვის ლექსებიც".

სტუდენტობის დროს შეეძლო ლექცია გაეცდინა, მაგრამ მერაბ მამარდაშვილის – არასოდეს. "თითქოს ლაპარაკობდა აბსოლუტურად უმარტივესი ენით, უმარტივეს რაღაცებს და გიკვირდა – ეს ხომ ყველამ იცის. ამავე დროს ისეთ საოცრებებზე საუბრობდა! ალბათ, ამ სიმარტივეში იყო მისი სიძლიერე." მოგვიანებით მაკამ მერაბ მამარდაშვილის პორტრეტი ტილოზე ნახშირით დახატა. ერთხელ უნივერსიტეტის წინ შეხვდა. მისალმების შემდეგ ბავშვურად და ამავდროულად ძალიან სერიოზულად ჰკითხა: – ბატონო მერაბ, აქვს თუ არა ცხოვრებას აზრი? ფილოსოფოსმა უპასუხა: – შენ უკვე ცხოვრობ და შენ მიეცი ცხოვრებას აზრი.

ამდენი წლების შემდეგაც ახსოვს ეს სიტყვები. ამაზე ლექსიც დაწერა. დროის დინება არ აწუხებს. თვლის, რომ რაც უკან იყო, იმან თავისი კვალი დატოვა. მთავარია, რა იქნება წინ, როგორ გამოთქვამს მომავალში ახალ სათქმელს. წელს გეგმაში აქვს რიგით მეოთხე, ქართულ-რუსული ლექსების კრებული გამოუშვას. გარდა ამისა, დაწერილი აქვს რამდენიმე საავტორო სიმღერა ფრანგულ, იტალიურ, რუსულ, ქართულ ენებსა და ივრითზე; სხვათა შორის, ესპანურზეც, რომელიც ისრაელის საოპერო თეატრის მომღერლის ილონა ტოივისის რეპერტუარშია შესული. ისრაელში ასევე გამოვიდა სიდი, რომელშიც თავმოყრილია რუსი პოეტების ლექსები, პუშკინის, ხოდასევიჩის, ტვარდოვსკის გვერდით მაკა ფაცურიას ლექსებიც მოხვდა, რომელსაც თავად კითხულობს რამდენიმე ენაზე.

"იერუსალიმის ვიწრო ქუჩებს მე მივუყვები, მეათასეჯერ სახარებას ჩემს თავს ვუყვები."

"იერუსალიმში, ძველ ქალაქში, უცნაური გრძნობა გეუფლება; თითქოს ისტორიაში ვარდები და სადღაც ვიწრო ქუჩის მოსახვევში იესო, პილატე, ან თუნდაც სოლომონ მეფე შეიძლება შეგხვდეს. კედელზე წარწერას ხედავ: "ქრისტეს პირველი შესვენება გოლგოთისაკენ მიმავალ გზაზე." ამ წარწერის მოპირდაპირე მხარეს კი საპარიკმახეროა, სადაც დალაქი უზარმაზარი სამართებლით წვერს ჰპარსავს ვიღაცას; ასე გგონია, სადაცაა ყელს გამოსჭრის; უცებ ებრაელი ჯარისკაცების ჯგუფი ჩაივლის სუვენირების გამყიდველ არაბთა რიგში და საფრთხის შეგრძნება, რომელიც ძველი იერუსალიმის ჰაერში მუდმივად ტრიალებს, უფრო მძაფრდება. გოდების კედლიდან ქრისტიანობის მთავარ მექამდე, ქრისტეს წმინდა სამარხის ტაძრამდე კარგა მანძილია. გირჩევნია, ზოგჯერ ღმერთს წერილი გაუგზავნო, რათა ამ გზაზე დაგიფაროს ორთოდოქსი ებრაელივით ან უამრავი ტურისტივით, რომლებიც ქაღალდზე აღბეჭდილ თავიანთ ოცნებებს გოდების კედლის ქვებს შორის მალავენ, რადგან არასოდეს არ იცი დანამდვილებით: "ეს გზა ტაძრამდე მიგიყვანს?"

ნანა ლომიძე.

მოულოდნელი თუ აუხსნელი?



ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი.''

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს საავტორო კრებსვორდები, შემეურნეობით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, საკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

იკითხეთ გაზეთი "ახალი ცხოვრება"

გილოცავთ!

გუდალეთის საჯარო სკოლის თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ სკოლის დირექტორს ელგუჯა მაღლაკელიძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, წარმატებებს და ბედნიერ ცხოვრებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

საიუბილეო დაბადების დღეს ვულოცავ ელგუჯა და მერაბ მაღლაკელიძეებს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ოჯახებთან ერთად.

გია ბუდალაძე.

,,ახალი გვნთავლი,, იძიებს ცვინცერიცა ცოცხათებს რეიონის ცვგვზეთი ფოტომატიანის შეცვემნელია. თხოვნით მიგმართავთ თანამრეიონელებს - ლაფოვეთ თქვენი ყველი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ ცვინცერიცა ლა ცახალიცა ფოტოები!







,,ყველა ,,ილოლიება გამოხმაურებაა

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფოტოები, ნახატები, ამბები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

გვნლით ცვცოცხალი ცლუმანი

ბავშვობაში ნათქვამი ,,ფრთიანი ფრაზები,,მთელი ცხოვრება ვლამაზებენ მოგონებებს, იგინი ლამაზაურებულლა ოჯეებენ ვლგილს ოჯახურ ,,ოქროს ფონლა-ში,,, თანმილან თანმაგ გვლაეცემიან ლა ყველა შინაურული თვეურილობის მთავარი ცხალილთ ცვამბობნი ბლებიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის ცვინცერიცა წუთები ჩვენს რუბრიკაში ,,მაყნაცუნა,, ლა გვნლით ცვცოცხალი ცლუმანი>.

ხსოვნა

ვახტანგ შაქარაშვილი

ხუთი წლის წინ, ორ აგვისტოს საწუთრომ წაგვართვა შენი თავი. ძალიან გვიჭირს, გვიმძიმს შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილის განელება, ანდა რა დაგვავიწყებს შენს თავს, წარმოუდგენელია წარსულში ლაპარაკი ჩვენთვის საფიცარ ადამიანზე, სათაყვანებელ მამასა და შეუდარებელ მეუღლეზე.

ყოველი დღე ჩვენს ოჯახში შენი გახსენებით იწყება, ფიქრშიც ჩვენთან ხარ, ვიგონებთ შენს მამაშვილურ დარიგებებს, მხოლოდ მამა კი არა, შვილებისთვის შენ საუკეთესო და უღალატო მეგობარიც იყავი... რა ვქნათ, ვერაფერს ვიღონებთ, უფლის ნება ყოფილა ყველაფერი.

სიცოცხლე გრძელდება, შენი დიდი ოჯახი ტრადიციას აგრძელებს, შენეული სტუმარ-მასპინძლობით ხვდება შენს საახლობლოსა და სამეგობროს, შენს შექმნილ კერაზე სამი საუცხოო შვილიშვილი იზრდება, მათ შორის შენი მოსახელე ვახტანგი, რომელსაც აქედანვე ვუნერგავთ შენს სიყვარულს, გავზრდით ისეთს, შენ რომ ინატრებდი და იამაყებდი. მშვიდად იძინე, შენთვის ვლოცულობთ ჩვენო დაუვიწყარო ადამიანო.

ოჯახი.

რუბრიკა – ,,წელიწადის მეხუთე დრო,, ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მოზრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გაცანით ისინი საზოგადოებას.

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?
გინდათ, გაიგოთ ეხისჯასთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების ეხისპექტივაზე?

გამოიწერეთ "ახალი გვნთავლი"

ქასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე გაერთიანების დირექტორს ლალი ჯანჯალაშვილს დედის მარიამ თხინვალელი-ჯანჯალაშვილის გარდაცვალების გამო.	ქასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დანესებულებების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლალი ჯანჯალაშვილს დედის მარიამ ჯანჯალაშვილის გარდაცვალების გამო.	ქასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლალი ჯანჯალაშვილს დედის მარიამ ჯანჯალაშვილის გარდაცვალების გამო.	ქასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების თანამშრომლები იუწყებიან ზემო ხანდაკის მუსიკალური სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგის ვაჟა გოგიბედაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის დირექტორს ლეილა დაბრუნდაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საბაქაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76